საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №192/17

-- -- (მხარე) 2017 წლის 02 ნოემბრის №-- -- საჩივრის საფუძველზე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 - მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №192/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის (---) განცხადებით, მოსამართლეებმა დაარღვიეს კანონი და მისი კანონიერი უფლებები. კერძოდ, -- სასამართლოს მოსამართლეებმა უსაფუძვლოდ გადააგზავნეს საქმე უკან, სააპელაციო სასამართლოში 2 თვით. ვინაიდან საქმე გადაიგზავნა -- -- სასამართლოში, სადაც ერთხელ უკვე მოხდა ამ საქმის მასალების გაყალბება, ამან დაბადა ეჭვი -- სასამართლოს მოსამართლეების მიუკერძოებლობაშიც. -- -- -- სასამართლოს მიაწოდა ყველა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა ამ სიყალბეს, თუმცა, -- სასამართლოს მოსამართლეებმა 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მას უკან დაუბრუნეს ეს მტკიცებულებები და ამით, დაარღვიეს კანონი.

-- განცხადებით მიმართა -- სასამართლოს და მოითხოვა, საქმის მასალების გაცნობა. აღმოჩნდა, რომ საქმიდან მოპარულია როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო ინსტანციის საქმის მასალები და ასევე, -- საჩივარზე დართული დოკუმენტები. საჩივრის ავტორი ეჭვს გამოთქვამს,

რომ ამ დოკუმენტების საქმიდან ამოღების შემდეგ, შესაძლებელი აღარ იქნება აღნიშნული საქმის ობიექტურად განხილვა.

-- -- აღნიშნავს, რომ მან ითხოვა საქმის განმხილველი მოსამართლეების აცილება, საქმისათვის მნიშვნელოვანი მასალების საქმეზე მტკიცებულებად დართვა და საქმის განსახილველად -- სასამართლოს -- პალატისათვის გადაცემა. მიუხედავად მისი მოთხოვნისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობები და დაარღვია კანონი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 10 აგვისტოს -- -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიას მოპასუხის, შპს "-- --" -ის მიმართ სარჩელით მიმართა -- -- წარმომადგენელმა და მოითხოვა, ზიანის ანაზღაურება 16 120 ლარის ოდენობით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 18 აგვისტოს აღნიშნული სარჩელი განსახილველად იქნა მიღებული, რის შესახებაც ეცნობა მოსარჩელის წარმომადგენელს და განესაზღვრა 02 თვიანი ვადა სარჩელისა და თანდართული მასალის მოპასუხისთვის ჩასაბარებლად.

2016 წლის 20 სექტემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 25 იანვარს.

2016 წლის 11 ნოემბრის განჩინებით საქმის განხილვის 2 თვიანი ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

საბოლოო გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულ იქნა 2017 წლის 24 თებერვალს, -- -- უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. -- -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლეები: -- --, -- --, -- --) 2017 წლის 22 მაისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

2017 წლის 04 აგვისტოს -- -- სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა -- -- განცხადება, რომლითაც ის ითხოვდა 2017 წლის 16 მაისის სასამართლო სხდომის ჩამწერ მოწყობილობაზე ექსპერტიზის ჩატარებას. 2017 წლის 18 სექტემბრის განჩინებით საჩივრის ავტორს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციოს სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

2017 წლის 10 ოქტომბერს მოსამართლე -- -- განმარტებით მიმართა მოსამართლეებს, -- -- და -- -- და აღნიშნა, რომ კასატორი ითხოვდა საქმის განხილვისაგან მის აცილებას. 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა მოსამართლე -- -- აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის უსაფუძვლობის გამო.

2017 წლის 20 ოქტომბერს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და ითხოვა, მისთვის საქმის მასალების გასაცნობად გადაცემა. კასატორის 2017 წლის 23 ოქტომბრის შუამდგომლობის ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ 2017 წლის 20 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე, ის გაეცნო საქმის მასალებს (შუამდგომლობაში -- -- აღნიშნავს, რომ საქმიდან ამოღებულია რიგი მტკიცებულებები, თუმცა, არ წარმოადგენს ამ მოსაზრების დამადასტურებელ დოკუმენტს).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით (თავმჯდომარე - -- -- , მოსამართლეები - -- --, -- --) -- -- საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის განჩინება და 2018 წლის 04 იანვარს საქმე ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაუბრუნდა -- -- სააპელაციო სასამართლოს.

2018 წლის 09 იანვარს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა საჩივრის ავტორმა და მოითხოვა, მოპასუხის ანგარიშებზე ყადაღის დადება. 2018 წლის 09 იანვრის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა დარჩა განუხილველი.

2018 წლის 09 იანვარს წარმოდგენილ იქნა საჩივრის ავტორის განცხადება სასამართლოს სრული შემადგენლობის აცილების თაობაზე. 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა. 2018 წლის 22 იანვარს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით (თავმჯდომარე - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) აპელანტს ისევ უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ძალაში დარჩა -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

2018 წლის 20 თებერვლის განჩინება 2018 წლის 28 მარტს საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 30 მარტს მოსამართლე -- -- განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, -- -- და ითხოვა, აღნიშნული საქმის აცილება.

2018 წლის 02 აპრილის განჩინებით, დაკმაყოფილდა მოსამართლე -- -- განცხადება თვითაცილების შესახებ. 2018 წლის 02 აპრილს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. თავდაპირველად, -- -- საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო მისი გამოსწორების შემდეგ, მოსამართლე -- -- 2018 წლის 26 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის განხილვა (ზეპირი მოსმენის გარეშე) მოხდებოდა არაუგვიანეს 2018 წლის 26 ივლისისა.

საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში ამ დრომდე მიმდინარეობს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს

ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება -- სასამართლოს მოსამართლის მხრიდან მოპასუხისადმი მიკერძოებულ დამოკიდებულებას, მის მიერ მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსამართლემ არაერთხელ დაარღვია კანონი, სრულიად უსაფუძვლოდ გადააგზავნა (კოლეგიური გადაწყვეტილების საფუძველზე) საქმე -- -- სააპელაციო სასამართლოში, ამით, ხელი შეუწყო საქმის მასალების გაყალბებას, უარი უთხრეს აპელანტს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე და არ დაურთო საქმეს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც აუცილებელი იყო საქმის ობიექტური განხილვისათვის.

3.1. იმის დასადგენად, შეიცავს თუ არა მოსამართლის ქმედებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ („მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულება“) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, საჭიროა შეფასება მიეცეს შიდა კანონმდებლობას და საერთაშორისო აქტებს.

ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] - მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს, მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო

პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ ასცდეს კანონს. „სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ (კოლეგიური შემადგენლობის ფარგლებში) კანონის ნორმების დარღვევით უარი უთხრა მას რამდენიმე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლოდ გადაუგზავნა საქმის მასალები სააპელაციო სასამართლოს და ამით, ხელი შეუწყო საქმის მასალების გაყალბებას და მტკიცებულებების საქმიდან ამოღებას. -- -- მოსაზრებით, მოსამართლის ეს ქმედება არის მისი მხრიდან მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებებზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომების ოქმებში. ამდენად, საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ -- სასამართლოს მოსამართლემ მას უკან დაუბრუნა გარკვეული მტკიცებულებები და ამით, დაარღვია კანონი, უსაფუძვლოა.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.“ შესაბამისად, განჩინება წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც არ ხდება საქმის საბოლოო გადაწყვეტა. მხარეების შუამდგომლობების განხილვისას, სასამართლო საკითხს წყვეტს სწორედ განჩინების მიღების გზით (-- სასამართლოს მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს სწორედ განჩინებით იქნა მიღებული გადაწყვეტილება აპელანტისათვის გარკვეული მტკიცებულებების დაბრუნების შესახებ).

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ -- სასამართლოს -- საქმეთა პალატის შემადგენლობა უფლებამოსილი და ვალდებულიც კი იყო მიეღო შესაბამისი განჩინებები მხარეების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებზე. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას პალატა მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და არც ერთ საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ შემთხვევაში, მოსამართლეს არ დაურღვევია მხარეთა საპროცესო უფლებები. კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეიძლება საუბარი იყოს არც თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის დარღვევაზე.

საჩივრის ავტორი ასევე აცხადებს, რომ -- სასამართლოს მოსამართლემ 2 თვით გადაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს საქმის მასალები გასაყალბებლად და ხელი შეუწყო საქმიდან გარკვეული მტკიცებულებების ამოღებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- 2017 წლის 04 აგვისტოს განცხადებით მიმართა -- - სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა, სასამართლო სხდომის ოქმის ჩამწერ მოწყობილობაზე ექსპერტიზის დანიშვნა. შესაბამისად, მოსამართლე -- -- თანაშემწის 2017 წლის 07 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე, საქმის მასალები გაგზავნილ იქნა სააპელაციო სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის -- -- სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიმართვის ტექსტიდან ჩანს, რომ საქმის მასალები სააპელაციო სასამართლოდან უზენაეს სასამართლოში გამოგზავნილ იქნა 2017 წლის 03 ოქტომბერს. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ -- -- მოსამართლემ საქმე სრულიად უსაფუძვლოდ, გაყალბების მიზნით გადააგზავნა სააპელაციო სასამართლოში, არ შეესაბამება სიმართლეს. საქმის მასალების სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა მოხდა თვითონ კასატორის, -- -- მოთხოვნის საფუძველზე.

საქმის მასალებით ასევე მტკიცდება, რომ საჩივრის ავტორმა 2017 წლის 20 ოქტომბერს განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და ითხოვა, საქმის მასალების გაცნობა. მისივე 2017 წლის 23 ოქტომბრის შუამდგომლობიდან ჩანს, რომ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა დაუბრკოლებლად მიეცა. თუმცა, -- -- ამ შუამდგომლობაში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მიერ საქმიდან ამოღებულ იქნა რიგი მტკიცებულებები და ამას, გამიზნულად ხელი შეუწყო -- სასამართლოს მოსამართლემ. აღნიშნულთან დაკავშირებით, განხორციელდა საქმის აუდიო და წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა, თუმცა, საჩივრის ავტორის ამ განცხადების დამადასტურებელი დოკუმენტი არც საქმის მასალებში მოიპოვება და არც თვითონ -- -- მიერ არის წარმოდგენილი.

ამდენად, საქმის მასალების გაცნობის შედეგად, მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 - მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ („მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულება“) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

3.2. რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული, და ამით, შელახა მხარის კანონიერი უფლებები, ამასთან დაკავშირებით უნდა

აღინიშნოს, რომ სამოსამართლო ეთიკის წესების პირველი მუხლის თანახმად, „მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად.“ იმავე წესების მე-10 მუხლის შესაბამისად, „მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.“

ამასთან, ბანგალორის პრინციპების ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა მიუკერძოებლობა. ამ საკითხს მთლიანად მიეძღვნა ბანგალორის პრინციპების მე-2 თავი. ხსენებული პრინციპი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული, „მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.“ ბანგალორის პრინციპების 2.1 პუნქტის თანახმად, „მოსამართლემ თავისი სამოსამართლო ვალდებულებები უნდა განახორციელოს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობის ან წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გარეშე.“ იმავე პრინციპების 2.5 პუნქტის მიხედვით, „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე იმ შემთხვევაში, თუ მისთვის შეუძლებელია საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება ან იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა გაუჩნდეს ეჭვი, რომ მოსამართლეს შეუძლია საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.“

ასევე, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების 52-ე მუხლის თანახმად, „ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ძირითადი თვისებებია, რომლებიც მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს და მისი პროფესიის განუყოფელი ატრიბუტი უნდა იყოს. მიუკერძოებლობა რეალურად უნდა არსებობდეს და ასეთად აღიქმებოდეს. მიკერძოებისა და წინასწარი უარყოფითი განწყობის შეგრძნება უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას იწვევს და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობას არყევს. იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. მოსამართლის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს ზოგიერთი მიზეზის გამო, მაგალითად ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის, სასამართლო დარბაზში მოსამართლის ქცევის ან მისი საურთიერთობო წრის, ასევე სასამართლოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის გამო.“ შესაბამისად, ხსენებული პრინციპის დარღვევაზე მაშინ შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც მოსამართლის მიკერძოება არა მხარის სუბიექტური შეგრძნებაა, არამედ „საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის“ მიერ ობიექტურ რეალობად მიჩნეული მოვლენაა.

ასევე, საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3

დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

იმდენად, რამდენადაც საქმის მასალებით არ მტკიცდება მოსამართლის მიერ საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების ფაქტი, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის მასალების „მოპარვის“ და გაყალბების შესახებ -- -- მოსაზრებები სრულიად უსაფუძვლოა, მოსამართლე -- -- მხრიდან, ამ კონკრეტული საქმის განხილვისას, არ ჰქონია ადგილი რაიმე ისეთ ქმედებას, რომელიც შეიძლება შეიცავდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 - მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 15 წევრიდან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №192/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი